

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების  
ფაკულტეტის სასწავლო ინკუბატორის  
დებულება



დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ  
ოქმი № 9 "27" სექტემბერი 2019 წელი

თბილისი

## თავი I. ზოგადი დებულება

### მუხლი 1. სასწავლო ინკუბატორის სტატუსი

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში გთუნი) ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სასწავლო ინკუბატორის სტატუსს, სტრუქტურასა და ფუნქციებს.

1.2 სასწავლო ინკუბატორი წარმოადგენს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ერთ-ერთ სასწავლო-სამეცნიერო ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თეორიული სწავლების პრაქტიკაში გამუყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას.

1.3 სასწავლო ინკუბატორი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, არ გააჩნია კანცელარია, ბლანკი და ბეჭედი.

### მუხლი 2. საკანონმდებლო ბაზა

2.1. სასწავლო ინკუბატორის სტატუსი და საქმიანობა განისაზღვრება გთუნის შინაგანაწესით, ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესებით.

### მუხლი 3. სასწავლო ინკუბატორის კომპეტენცია

3.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სასწავლო ინკუბატორის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, კომპეტენციის სფეროებს, მასში შემავალი ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს.

### მუხლი 4. სასწავლო ინკუბატორის მიზნები და ამოცანები

4.1. “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სასწავლო ინკუბატორის მიზნებია:

- პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლების განხორციელება;
- ბიზნეს პროცესების პრაქტიკულად განხორციელება;
- მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და ტურიზმის მიმართულებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტის ჩამოყალიბება

4.2. აღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის სასწავლო ინკუბატორის ამოცანებს წარმოადგენს:

- სიმულაციური და საქმიანი თამაშების შემუშავება;
- პრაქტიკული პროექტების განხორციელება;
- საბანკო ოპერაციების, ბიზნეს პროცესებისა და ტურიზმის ოპერაციების განხორციელებისათვის სპეციალური პროგრამული სწავლება;
- სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადების, კონკურსებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელება
- სტუდენტების მიერ კვლევების განხორციელება

## **მუხლი 5. სასწავლო ინკუბატორის ფუნქციები**

### **5.1. სასწავლო ინკუბატორის ფუნქციებია:**

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტების მომზადება საქმიანი თამაშების, პროექტების, კონკურსების მომზადება-განხორციელებით SCC -თან ერთად;
- ბიზნეს პროცესებისა და ოპერაციების პრაქტიკულად განხორციელება “გთ თრეველის”, “გთ კონსალტინგის” და “გთ სასწავლო ბანკის ბაზაზე”;
- SCC -თან ერთად ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტების პრაქტიკის განხორციელება;
- SCC-თან ერთად გთუნის სტუდენტებისათვის, პერსონალის კურსდამთავრებულებისა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთათვის კონსულტაციების, სემინარების, ტრენინგების ჩატარება;
- SCC-თან ერთობლივის სტუდენტური კვლევების განხორციელება

## **მუხლი 6. სასწავლო ინკუბატორის ლაბორატორიები**

6.1. სასწავლო ინკუბატორის შემადგელობაში შედიან: „გთ კონსალტინგი“, „გთ ბანკი“ და „გთ თრეველი“;

6.2 „გთ კონსალტინგი“, „გთ ბანკი“ და „გთ თრეველი“ ემსახურებიან სასწავლო ინკუბატორის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, აქვთ საერთო მიზნები და ამოცანები.

## **თავი II. დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 7 სასწავლო ინკუბატორის დებულების შემუშავებისა და დამტკიცების წესი**

7.1. წინამდებარე დებულებას განიხილვს ფაკულტეტის საბჭო და მისი წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

### **მუხლი 8 სასწავლო ინკუბატორის დებულების შეცვლის წესი**

8.1. სასწავლო ინკუბატორის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება იმავე წესით, როგორც წესითაც იგი მიიღება.